დანართი N6

„დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის 2021 წლის 20 ---- 12 ---- N 49 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ

და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - უმაღლესი საბჭო) აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატი (შემდგომში – კომიტეტის აპარატი) არის აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტისადმი (შემდგომში – კომიტეტი) დაქვემდებარებული უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული.

2. კომიტეტის აპარატის ძირითადი ამოცანებია კომიტეტის, კომიტეტის წევრებისა და კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების კანონშემოქმედებითი, საკონტროლო და ორგანიზაციული საქმიანობის სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა, კომიტეტისათვის კომპეტენციის ფარგლებში კონტროლის განხორციელებაში ხელის შეწყობა.

3. კომიტეტის აპარატი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, კომიტეტის დებულებისა და ამ დებულების შესაბამისად.

თავი II

კომიტეტის აპარატის ძირითადი ფუნქციები

და უფლება-მოვალეობანი

მუხლი 2

1. კომიტეტის აპარატის ფუნქციებია:

ა) კომიტეტის სამუშაო გეგმების, სამუშაო გეგმით განსაზღვრული კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტების, კომიტეტის გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომიტეტის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;

ბ) კომიტეტის დებულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით საკონსულტაციო და ანალიტიკური ფუნქციების, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურების განხორციელება;

გ) კომიტეტში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, კომიტეტის წევრებთან ერთად მოქალაქეთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების, აგრეთვე კომიტეტში შესულ სხვა კორესპონდენციის განხილვაში მონაწილეობა;

დ) კომიტეტის სხდომებზე სათანადო დასკვნების, წინადადებების, ცნობებისა და ინფორმაციის განსახილველად მომზადება;

ე) კომიტეტის სხდომების, საკომიტეტო მოსმენების, კომიტეტში სამუშაო/ საკონსულტაციო თათბირებისა და საქმიანი შეხვედრების მომზადების ორგანიზება. ნათი მსვლელობის დადგენილი წესით დაფიქსირებისა და მიღებული გადაწყვეტილებების საოქმო გაფორმების უზრუნველყოფა;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებთან, ფრაქციებთან, დროებით კომისიებთან და საკონსულტაციო საბჭოებთან თანამშრომლობა;

ზ) კომიტეტში შესული და კომიტეტიდან გასული კორესპონდენციის მომზადება, აღრიცხვა და განაწილება. საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა;

თ) კომიტეტისა და კომიტეტის აპარატის საქმიანობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციისა და ინფორმციის დადგენილი წესით მიწოდება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კომიტეტის წევრთა და კომიტეტის საჯარო მოსამსახურეთა მივლინების საკითხების ორგანიზება;

კ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, აპარატის დებულებით, კომიტეტის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

2. კომიტეტის აპარატს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საკუთარი ფუნქციების შესრულების მიზნით, უფლება აქვს:

ა) კომიტეტის საქმიანობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან, უმაღლესი საბჭოს სხვა კომიტეტებიდან და ფრაქციებიდან დადგენილი წესით გამოითხოვოს და მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია.

ბ) კომიტეტის დავალებით, დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი დარგის სპეციალისტების მოწვევაში.

თავი III

კომიტეტის აპარატის შემადგენლობა და მართვა

მუხლი 3

1. კომიტეტის აპარატის შემადგენლობაში შედიან საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურეები, რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, ამ დებულებით, შესაბამისი ხელშეკრულებებით, სამუშაო აღწერილობებითა და სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით.

2. კომიტეტის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

3. კომიტეტის აპარატის საჯარო მოსამსახურეები არიან:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კომიტეტის აპარატის უფროსი;

ბ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ორი ერთეული);

გ) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე.

4. კომიტეტის აპარატს ხელმძღვანელობს კომიტეტის აპარატის უფროსი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, ამ დებულების და დამტკიცებული სამუშაო აღწერილობის საფუძველზე.

5. კომიტეტის აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში კომიტეტის აპარატის უფროსის მოვალეობას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავალებით დროებით ასრულებს კომიტეტის აპარატის ერთ-ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

თავი IV

დასკვნითი დებულებები

მუხლი 4

1. კომიტეტის აპარატის დებულებას უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით-ბრძანებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. კომიტეტის აპარატის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინების საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

3. კომიტეტის აპარატის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.